სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080139531869419

№ 2239 10 / მაისი / 2019 წ.

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 6 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ წარმოადგინა SMP190002156 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ,,შედეგზე დაფუძნებული დაფინანსება და ინტეგრირებული მკურნალობის მოდელი ტუბერკულოზის მართვის ამბულატორიულ დონეზე'' - პროგრამის ფარგლებში, შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების სქემით პერსონალისთვის ფინანსური წახალისების მომსახურების შესყიდვას (85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები), ღირებულებით 150832.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სართაშორისო ფონდი კურაციოს და საერთაშოროსო პარტნიორების (Queen Margaret University, London School of Hygiene and Tropical Medicine, Antwerp Institute of Tropical Medicine) მიერ განხორციელდა კვლევითი პროექტი - „შედეგზე დაფუძნებული დაფინანსება და ინტეგრირებული მკურნალობის მოდელი ტუბერკულოზის მართვის ამბულატორიულ დონეზე“, რაც სამუშაოს შესრულების საფუძველზე, პერსონალისთვის ფინანსური წახალისებას გულისხმობს. მოდელის დანერგვამდე, მიზანშეწონილია მისი განხორციელება პილოტის სახით. პილოტის დაფინანსება განხორციელდება „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან აივ ინფექციის/ შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდთან (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში.

სამედიცინო მომსახურების შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი სრულად პასუხობს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს (CCM) მიერ დამტკიცებული ტუბერკულოზის კონტროლის 2019-2022 წლების ეროვნული სტრატეგიის მიზნებს და ამოცანებს, როგორიცაა პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა, ნაბიჯები ტუბერკულოზის მართვის პირველად ჯანდაცვაში ინტეგრირების მიმართულებით პროვაიდერთა მოტივაციის გაზრდის მიზნით და ანაზღაურების მექანიზმების გადახედვა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი მოდელის მიზანია, გააუმჯობესოს პაციენტებში ტუბერკულოზის მკურნალობისადმი დამყოლობა მართვის თანამედროვე და დაფინანსების ინოვაციური მეთოდების საშუალებით. იგი გააუმჯობესებს მკურნალობის შედეგებს, გაზრდის პროგრამის ეფექტურობას, რაც საბოლოოდ შეამცირებს ტუბერკულოზის ტვირთს და ამ დაავადებით გამოწვეულ სიკვდილიანობას. პილოტის მოსალოდნელი შედეგებია ტუბერკულოზის მკურნალობაზე დამყოლობის და წარმატებული მკურნალობის მაჩვენებლების გაუმჯობესება პილოტში მონაწილე დაწესებულებებში.

ამასთან, პილოტის შედეგები იქნება მტკიცებულება სხვა დაწესებულებებში მის შემდგომ განვრცობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

მომსახურებას განახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო, როგორც სახელმწიფოში არსებული ერთადერთი ლეგიტიმური სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია როგორც ადმინისტრაციული რესურსი, ასევე, რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ ამბულატორიული დაწესებულებების მონაცემებზე წვდომა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, რომ სართაშორისო ფონდი კურაციოს და საერთაშოროსო პარტნიორების (Queen Margaret University, London School of Hygiene and Tropical Medicine, Antwerp Institute of Tropical Medicine) მიერ განხორციელდა კვლევითი პროექტი - „შედეგზე დაფუძნებული დაფინანსება და ინტეგრირებული მკურნალობის მოდელი ტუბერკულოზის მართვის ამბულატორიულ დონეზე“, რაც სამუშაოს შესრულების საფუძველზე, პერსონალისთვის ფინანსური წახალისებას გულისხმობს. მოდელის დანერგვამდე, მიზანშეწონილია მისი განხორციელება პილოტის სახით. პილოტის დაფინანსება განხორციელდება „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან აივ ინფექციის/ შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდთან (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში.

სამედიცინო მომსახურების შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი სრულად პასუხობს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს (CCM) მიერ დამტკიცებული ტუბერკულოზის კონტროლის 2019-2022 წლების ეროვნული სტრატეგიის მიზნებს და ამოცანებს, როგორიცაა პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა, ნაბიჯები ტუბერკულოზის მართვის პირველად ჯანდაცვაში ინტეგრირების მიმართულებით პროვაიდერთა მოტივაციის გაზრდის მიზნით და ანაზღაურების მექანიზმების გადახედვა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი მოდელის მიზანია, გააუმჯობესოს პაციენტებში ტუბერკულოზის მკურნალობისადმი დამყოლობა მართვის თანამედროვე და დაფინანსების ინოვაციური მეთოდების საშუალებით. იგი გააუმჯობესებს მკურნალობის შედეგებს, გაზრდის პროგრამის ეფექტურობას, რაც საბოლოოდ შეამცირებს ტუბერკულოზის ტვირთს და ამ დაავადებით გამოწვეულ სიკვდილიანობას. პილოტის მოსალოდნელი შედეგებია ტუბერკულოზის მკურნალობაზე დამყოლობის და წარმატებული მკურნალობის მაჩვენებლების გაუმჯობესება პილოტში მონაწილე დაწესებულებებში. ამასთან, პილოტის შედეგები იქნება მტკიცებულება სხვა დაწესებულებებში მის შემდგომ განვრცობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

მომსახურებას განახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო, როგორც სახელმწიფოში არსებული ერთადერთი ლეგიტიმური სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია როგორც ადმინისტრაციული რესურსი, ასევე, რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ ამბულატორიული დაწესებულებების მონაცემებზე წვდომა.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ SMP190002156 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად კახი დემეტრაშვილი